ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№63. 63260572**
თარიღი:**26/02/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. მოწვეულ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, 2026 წლის 27 თებერვლის 11:00 საათზე. სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული საკრებულოს სხდომათა დარბაზი, რესპუბლიკის ქუჩა N6.

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ იქნას დღის წესრიგის შემდეგი საკითხები:

1. **ინფორმაცია, 2026** წლის ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების გაცემის წესის** დამტკიცების თაობაზე", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 344.50 ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037.01.503) 211.63 კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქ. №4–ში მდებარე 254.80 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.349.01.502) და მოძრავი ნივთების (ინვენტარის) სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსთვის, 2027 წლის 01 იანვრამდე, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოღაში, მე-3 ქუჩა №1-ში მდებარე 1309.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 39.40 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.52.145, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი”-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი–238773644) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 62000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.46.293) 2018 წლის 01 თებერვლის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. ,,ქალაქ სამტრედიის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის №6 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, მ.ცომაია/

8. სხვადასხვა

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ.N1) მისი გამოცემიდან 1/ერთი/თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი